

საქართველოს კანონი

სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ

მუხლი 1. კანონის მიზანი

ამ კანონის მიზანია, ხელი შეუწყოს სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის თავიდან აცილებასა და მის წინააღმდეგ ბრძოლას, საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის დაცვის უზრუნველყოფას.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

ამ კანონის მიზნებისთვის მასში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული - საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის XXII თავით, აგრეთვე, ამავე კოდექსის 255¹-255² მუხლებით გათვალისწინებული დანაშაული;

ბ) მსჯავრდებული - პირი (მათ შორის, სასჯელმოხდილი პირი), რომლის მიმართ გამოტანილია სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის;

გ) სამინისტრო - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო;

დ) უფლებაჩამორთმეული პირი - პირი, რომელსაც სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ამ კანონის შესაბამისად ჩამოერთვა ერთი ან რამდენიმე უფლება;

ე) რეესტრი - სამინისტროში შექმნილი ელექტრონული ბაზა, რომელშიც დაცულია სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისთვის მსჯავრდებულ პირთა პერსონალური მონაცემები.

მუხლი 3. უფლების ჩამორთმევა

1. სასამართლო უფლებამოსილია პირს გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე ჩამოართვას ქვემოთ ჩამოთვლილი ერთი ან რამდენიმე უფლება:

ა) საგანმანათლებლო დაწესებულებაში, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებაში, სკოლისგარეშე საგანმანათლებლო და სააღმზრდელო დაწესებულებაში (მათ შორის, სკოლისგარეშე სახელოვნებო და სასპორტო დაწესებულებაში) საქმიანობის უფლება, ასევე არასრულწლოვნებისთვის ნებისმიერი

სახის საგანმანათლებლო/სასწავლო/სააღმზრდელო მომსახურების გაწევა და ასეთი მომსახურების გამწევ დაწესებულებებში საქმიანობა;

ბ) არასრულწლოვანთათვის განკუთვნილ საგანმანათლებლო დაწესებულებასა და ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებაში და მათ მიმდებარე ტერიტორიაზე არაუმეტეს 30 მეტრის რადიუსში, ბიბლიოთეკაში, ბავშვთა გასართობ ცენტრში, სკოლისგარეშე საგანმანათლებლო და სააღმზრდელო დაწესებულებაში (მათ შორის, სკოლისგარეშე სახელოვნებო და სასპორტო დაწესებულება), არასრულწლოვანებისთვის ნებისმიერი სახის საგანმანათლებლო/სასწავლო/სააღმზრდელო მომსახურების გამწევ დაწესებულებაში ყოფნის უფლება;

გ) არასრულწლოვანთან ერთად ცხოვრების უფლება, თუ პირს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე-141-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაული ჩადენილი აქვს არასრულწლოვნის მიმართ;

დ) „სოციალური მუშაობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სოციალური მუშაობა;

ე) საექიმო საქმიანობა;

ვ) სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში – საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობა;

ზ) პასიური საარჩევნო უფლება;

თ) იარაღის დამზადების, შექმნის, შენახვისა და ტარების უფლება;

ი) სატრანსპორტო საშუალებით, მათ შორის, საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრთა გადაყვანის უფლება;

კ) სხვა საქმიანობის განხორციელების უფლება, რომლის ჩამორთმევასაც დამნაშავეს პიროვნების და დანაშაულის ხასიათის გათვალისწინებით, მიზანშეწონილად მიიჩნევს სასამართლო.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ უფლებებს სასამართლო სავალდებულო წესით ჩამოართმევს მსჯავრდებულს, თუ მას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე-139-ე, 141-ე, 255¹ მუხლებით გათვალისწინებული დანაშაული ჩადენილი აქვს არასრულწლოვნის მიმართ.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ უფლებას სასამართლო არ ჩამოართმევს პირს, რომელსაც დამატებითი სასჯელის სახით

სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული წესით განუსაზღვრავს იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვას.

4. მოსამართლის გადაწყვეტილებით შესაძლებელია ამ მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული უფლების ჩამორთმევა არ გავრცელდეს ოჯახის წევრების (დედა, მამა, მეუღლე, შვილი (გერი), ნაშვილები) გადაყვანის უფლებაზე.

5. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში პირს უფლება ჩამორთმევა:

ა) ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში - ხუთ წლამდე ვადით;

ბ) მძიმე კატეგორიის დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში - ხუთიდან ათ წლამდე ვადით;

გ) განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში - ათიდან თხუთმეტ წლამდე.

6. სასამართლო ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“-„კ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული უფლების ჩამორთმევის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას ითვალისწინებს მსჯავრდებულის პიროვნულ მახასიათებლებს, ოჯახურ მდგომარეობას, ნასამართლობას, მის დამოკიდებულებას ჩადენილ დანაშაულთან, დანაშაულის ჩადენის ვითარებას, ხერხს, დამდგარ შედეგს, დანაშაულის განმეორებით ჩადენის რისკს, დაზარალებულისა და მსჯავრდებულის ურთიერთდამოკიდებულებასა და სხვა გარემოებებს.

7. ამ მუხლით გათვალისწინებული უფლების ჩამორთმევის შესახებ მიეთითება გამამტყუნებელი განაჩენის სარეზოლუციო ნაწილში.

8. სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის მსჯავრდების შესახებ სასამართლო დაუყოვნებლივ აცნობებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს.

9. ამ მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული უფლების ჩამორთმევის შემთხვევაში სასამართლო დაუყოვნებლივ აცნობებს ასევე საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, მსჯავრდებულის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მუნიციპალიტეტს.

10. სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისთვის პირის მსჯავრდების შესახებ სასამართლო დაუყოვნებლივ აცნობებს მსჯავრდებულის სამუშაო ადგილის ადმინისტრაციას, თუ იგი დასაქმებულია ისეთ დაწესებულებაში, სადაც აკრძალულია სქესობრივი

თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისათვის ნასამართლევნი პირის დასაქმება.

11. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“-„კ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საქმიანობის უფლების ჩამორთმევის შესახებ სასამართლო დაუყოვნებლივ აცნობებს მსჯავრდებულის სამუშაო ადგილის ადმინისტრაციას, თუ იგი დასაქმებულია ისეთ დაწესებულებაში, სადაც პირს სასამართლოს გადაწყვეტილებით ჩამოერთვა საქმიანობის უფლება.

12. პენიტენციური დაწესებულება ვალდებულია სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისთვის მსჯავრდებულის პირის პენიტენციური დაწესებულებიდან გათავისუფლების/გაქცევის, პატიმრობის კოდექსის 27-ე მუხლით დადგენილი წესით პენიტენციური დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის შესახებ, აგრეთვე პატიმრობის კოდექსის 71⁶ მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი წესით, გათავისუფლებისთვის მომზადების თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებიდან გასვლის შესახებ, წერილობითი შეტყობინება დაუყოვნებლივ გაუგზავნოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს.

მუხლი 4. ვადის ათვლა

ამ კანონის მე-3 მუხლით გათვალისწინებული უფლების ჩამორთმევის ვადის ათვლა იწყება:

- ა) თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებისას – განაჩენით დანიშნული სასჯელის მოხდისთანავე;
- ბ) პირობითი მსჯავრის გამოყენებისას – გამოსაცდელი ვადის დაწყების მომენტიდან;
- გ) ძირითადი სასჯელის სახედ არასაპატიმრო სასჯელის გამოყენებისას – განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის მომენტიდან;
- დ) პირობით ვადამდე გათავისუფლებისას - პირობით ვადამდე გათავისუფლების მომენტიდან;
- ე) სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლისას - სასჯელის შეცვლის მომენტიდან.

მუხლი 5. უფლების აღდგენა

1. მსჯავრდებულისთვის ჩამორთმეული უფლების ვადამდე აღდგენა ან უფლების ჩამორთმევის ვადის შემცირება დასაშვებია:

- ა) ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულისათვის მსჯავრდების შემთხვევაში - უფლების ჩამორთმევის ვადის არანაკლებ ერთი მესამედის გასვლის შემდეგ;
- ბ) მძიმე კატეგორიის დანაშაულისათვის მსჯავრდების შემთხვევაში - უფლების ჩამორთმევის ვადის არანაკლებ ნახევრის გასვლის შემდეგ;
- გ) განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულისათვის მსჯავრდების შემთხვევაში - უფლების ჩამორთმევის ვადის არანაკლებ ორი მესამედის გასვლის შემდეგ.

2. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს პირობითი მსჯავრის გაუქმების საკითხთა განმხილველი მუდმივმოქმედი კომისია (შემდგომ - კომისია) უფლებამოსილია მსჯავრდებულის პიროვნებისა და მისი ყოფაქცევის გათვალისწინებით, ვადამდე აღუდგინოს პირს ჩამორთმეული უფლება ან შეუმციროს უფლების ჩამორთმევის ვადა.

3. მსჯავრდებულის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული შეზღუდვების (უფლების ჩამორთმევა) დარღვევა (შეუსრულებლობა) გამოიწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას.

4. მსჯავრდებულს ამ კანონით გათვალისწინებული შეზღუდვების (უფლების ჩამორთმევა) შესახებ განემარტება სასამართლოს მიერ განაჩენის გამოცხადებისას, ხოლო პენიტენციური დაწესებულების დატოვების შემთხვევაში - ასევე პენიტენციური დაწესებულების მიერ.

მუხლი 6. მსჯავრდებულის ვალდებულებები

1. მსჯავრდებული ვალდებულია სამინისტროს უფლებამოსილი პირის მიერ დაბარების შემთხვევაში გამოცხადდეს სამინისტროს შესაბამის ტერიტორიულ ორგანოში.

2. სამინისტროს უფლებამოსილი პირი მსჯავრდებულს სამინისტროს შესაბამის ტერიტორიულ ორგანოში დაბარების შესახებ შეტყობინებას უგზავნის მსჯავრდებულის პენიტენციური დაწესებულებიდან გათავისუფლების შესახებ, აგრეთვე, პირობით ვადამდე გათავისუფლების/სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის შესახებ ინფორმაციის მიღებიდან, ხოლო არასაპატიმრო სასჯელის დანიშვნის შემთხვევაში - კანონიერ ძალაში შესული განაჩენის მიღებიდან არაუგვიანეს 10 დღის ვადაში.

3. მსჯავრდებულის გამოცხადებისას სამინისტროს უფლებამოსილი პირი არკვევს მსჯავრდებულის ფაქტობრივ საცხოვრებელ ადგილს, სამუშაო ადგილს, მასთან

ერთად მცხოვრები პირების მონაცემებს (სახელი, გვარი, ასაკი, პირთან არსებული კავშირი) და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის (შემდგომში - მინისტრი) ბრძანებით განსაზღვრულ სხვა საკითხებს. აგრეთვე, მსჯავრდებულს სამინისტროში გამოცხადებისას წერილობით განემარტება ამ კანონით დაკისრებული ვალდებულებებისა და მათი შეუსრულებლობის შემთხვევაში საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის შესახებ.

4. მსჯავრდებული ვალდებულია ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ მონაცემებში ცვლილების განხორციელებისთანავე დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 5 დღისა, აღნიშნულის შესახებ აცნობოს საცხოვრებელი ადგილის მიხედვით სამინისტროს შესაბამის ტერიტორიულ ორგანოს.

5. ამ მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში გამოუცხადებლობა არ ჩაითვლება მსჯავრდებულისთვის დაკისრებული ვალდებულებების დარღვევად, თუ არსებობს ერთ-ერთი შემდეგი საპატიო მიზეზი:

ა) მსჯავრდებულის ჯანმრთელობის ისეთი მდგომარეობა, რომელიც შეუძლებელს ხდის სამინისტროს უფლებამოსილ ტერიტორიულ ორგანოში გამოცხადებას, რასაც ადასტურებს ექიმის მიერ გაცემული ცნობა;

ბ) მსჯავრდებულის ახლო ნათესავის (მშობელი, მშვილებელი, შვილი, მინდობით აღსაზრდელი, პაპა, ბებია, შვილიშვილი, და, ძმა, მეუღლე (მათ შორის, განქორწინებული)) ან მსჯავრდებულთან მუდმივად მცხოვრები პირის გარდაცვალება;

გ) მსჯავრდებულის სამსახურებრივ ან პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული მივლინება, რასაც ადასტურებს შესაბამისი დოკუმენტი;

დ) დაუძლეველი ძალის (ფორსმაჟორის) არსებობა, კერძოდ, სტიქიური უბედურება, ავარია, ხანძარი, მასობრივი არეულობა, სამხედრო მოქმედება, კარანტინი ან საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება, რაც დადასტურებულია შესაბამისი სახელმწიფო დაწესებულების მიერ გაცემული დოკუმენტით;

ე) კანონით დადგენილი წესით მსჯავრდებულის დაკავება/ პატიმრობა, აგრეთვე მისი მონაწილეობა საგამომიებო/საპროცესო მოქმედებებსა და ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებში, რასაც ადასტურებს შესაბამისი დოკუმენტი;

ვ) მსჯავრდებულის სამხედრო სარეზერვო სამსახურში ყოფნა, რაც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტით, რომელიც წარედგინება სამინისტროს შესაბამის ტერიტორიულ ორგანოს მსჯავრდებულის სამხედრო სარეზერვო სამსახურში გაწვევამდე.

6. ამ მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში მსჯავრდებულის მიერ სამინისტროში გამოცხადების ვალდებულების არასაპატიო მიზეზით

შეუსრულებლობა იწვევს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას.

7. მსჯავრდებულს ამ მუხლით გათვალისწინებული ვალდებულებები ეკისრება ნასამართლობის ვადით, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ამ კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული რომელიმე უფლების ჩამორთმევის ვადა აღემატება ნასამართლობის ვადას. ამ შემთხვევაში გამოიყენება უფლების ჩამორთმევის ვადა.

მუხლი 7. მონიტორინგი

1. საგანმანათლებლო დაწესებულება, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულება, სკოლისგარეშე საგანმანათლებლო და სააღმზრდელო დაწესებულება (მათ შორის, სახელოვნებო და სასპორტო დაწესებულება) ან/და საგანმანათლებლო/სასწავლო/სააღმზრდელო მომსახურების გამწევი დაწესებულებები, ასევე, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ის დაწესებულებები, სადაც აკრძალულია სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისათვის ნასამართლევი /უფლებაჩამორთმეული პირის დასაქმება, ვალდებული არიან, შესაბამისი საქმიანობის განხორციელების უფლების მინიჭებამდე, პირს მოსთხოვონ ნასამართლობისა და უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობების წარდგენა. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა იწვევს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.

2. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, მუნიციპალიტეტები ვალდებული არიან კომპეტენციის ფარგლებში განახორციელონ მათ დაქვემდებარებაში/მათი კონტროლის ქვეშ არსებული დაწესებულებების მიერ ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების მონიტორინგი, დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში განახორციელონ რეაგირება კომპეტენციის ფარგლებში და აღნიშნულის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობონ სამინისტროს. ამ მიზნით აღნიშნული უწყებები უფლებამოსილი არიან, საჭიროების შემთხვევაში, გამოითხოვონ ინფორმაცია მათ დაქვემდებარებაში/მათი კონტროლის ქვეშ არსებულ დაწესებულებებიდან ან შექმნან მათთან მონაცემთა წვდომის მექანიზმები.

3. სამინისტროს უფლებამოსილი პირი მსჯავრდებულზე დაკისრებული შეზღუდვების/ვალდებულებების შესრულების მონიტორინგის მიზნით უფლებამოსილია გამოცხადდეს მსჯავრდებულის საცხოვრებელ/სამუშაო ადგილზე,

საჭიროებისამებრ დაიბაროს მსჯავრდებული, გამოითხოვოს ინფორმაცია მსჯავრდებულის საცხოვრებელი/სამუშაო ადგილის, აგრეთვე, ამ კანონის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტში მითითებული მაიდენტიფიცირებელი მონაცემების შესახებ და გაატაროს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ღონისძიებები.

4. თუ არსებობს ფაქტი ან ინფორმაცია, რომელიც მიუთითებს მსჯავრდებულის მხრიდან დანაშაულის ჩადენის რეალურ საფრთხეზე, სამინისტროს უფლებამოსილი პირი მსჯავრდებულის პერსონალურ მონაცემებს აცნობებს იმ კონკრეტულ დაწესებულებას/უწყებას, სადაც/რომლის მიმდებარე ტერიტორიაზეც არსებობს მსჯავრდებულის მხრიდან დანაშაულის ჩადენის რეალური საფრთხე. დაწესებულება/უწყება ვალდებულია მსჯავრდებულის მხრიდან საფრთხის შემცველი ქმედების გამოვლენისთანავე, დაუყოვნებლივ უზრუნველყოს სამინისტროს ინფორმირება. სამინისტრო შეტყობინებაზე რეაგირებას ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

5. უფლებამოსილ უწყებებს/დაწესებულებებს შორის ინფორმაციის გაცვლისა და საქმიანობის კოორდინაციის მექანიზმები განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

6. ამ მუხლის მე-4 პუნქტში მითითებული დაწესებულებები/უწყებები ვალდებული არიან უზრუნველყონ სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის პირის მსჯავრდების შესახებ მათთვის გადაცემული ინფორმაციის კონფიდენციალურობა და მიიღონ ზომები მისი უკანონო გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად. მონაცემთა უკანონო გამჟღავნება გამოიწვევს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას.

7. მინისტრის ნორმატიული აქტით განისაზღვრება სამინისტროს უფლებამოსილი ორგანოების მიერ სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის თავიდან აცილებისა და კონტროლის წესი.

8. საქართველოს მთავრობის დადგენილებით განისაზღვრება „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის აღსრულებისა და მონიტორინგის წესი.

მუხლი 8. სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულზე მსჯავრდებულთა რეესტრი

1. ამ კანონის აღსრულების მიზნით სამინისტროში იქმნება სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულზე მსჯავრდებულთა რეესტრი (შემდგომში - რეესტრი).

2. რეესტრის წარმოების მიზნით, მსჯავრდებულის პერსონალური მონაცემების, მათ შორის, ნასამართლობის, დაქტილოსკოპიური და სხვა მაიდენტიფიცირებელი მონაცემების, დამუშავებას ახორციელებს სამინისტრო პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

3. რეესტრის შექმნისა და მონაცემთა დამუშავების წესი განისაზღვრება მინისტრის ბრძანებით.

მუხლი 9. გარდამავალი დებულებები

1. 2019 წლის 1 სექტემბრამდე საქართველოს მთავრობამ უზრუნველყოს საქართველოს მთავრობის დადგენილების მიღება „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის აღსრულებისა და მონიტორინგის წესის დამტკიცების შესახებ“.

2. 2019 წლის 1 სექტემბრამდე მინისტრმა უზრუნველყოს:

ა) „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი ორგანოების მიერ სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის თავიდან აცილებისა და კონტროლის წესის დამტკიცების შესახებ“ ნორმატიული აქტის მიღება;

ბ) კანონქვემდებარე აქტების ამ კანონთან შესაბამისობა.

3. 2019 წლის 1 სექტემბრამდე სამინისტრომ უზრუნველყოს რეესტრის შექმნა, რომელშიც აისახება ამ თარიღისთვის სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენაში მსჯავრდებულთა პერსონალური მონაცემები.

მუხლი 10. დასკვნითი დებულებები

1. ეს კანონი, გარდა ამ კანონის პირველი-მე-8 მუხლებისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

2. ამ კანონის პირველი-მე-8 მუხლები ამოქმედდეს 2019 წლის 1 სექტემბრიდან.